შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

# ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

პრაქტიკული დავალება პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე შეასრულეთ. პრაქტიკული დავალების (დავალება 26) შესასრულებლად თქვენ დაგირიგდათ ფანქარი, საშლელი და სათლელი.

პრაქტიკული დავალებისათვის  განკუთვნილ ფურცელზე იმუშავეთ ფანქრით! ფანქრის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ამ დავალების შესასრულებლად.

**ტესტის მაქსიმალური ქულაა  60.**

**ტესტის შესასრულებლად გეძლევათ  4  საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

**№ 1-19 დავალების ინსტრუქცია -** (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა) თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

(1) **1. სამგანზომილებიან როგორ ფიგურას ეწოდება კინეტიკური სკულპტურა?**

ა) გარშემო თავისუფალი სივრცით;

ბ) მოძრავი დეტალებით;

გ) კედლის სიბრტყეზე ძლიერად ამობურცულს;

დ) ბრინჯაოში ჩამოსხმულს.

(1) **2. რომელი მხატვრული ხერხის უგულებელყოფა გამოიწვევს სკულპტურის „გადაყირავებას?“**

ა) მოძრაობის;

ბ) მთლიანობის;

გ) ბალანსის;

დ) ძირითადის გამოყოფის.

(1) **3. რომელ არქიტექტურულ სტილს/პერიოდს მიეკუთვნება სან ვიტალეს ტაძარი რავენაში?**




ა) რომანულს;

ბ) ბიზანტიურს;

გ) გოთიკურს;

დ) რენესანსს.

(1) **4. ჩამოთვლილთაგან რომელი ნაგებობაა წარმოდგენილი ფოტოზე ზედხედით?**



ა) წმ. მადლენის ტაძარი;

ბ) კარაკალას თერმები;

გ) მარცელას თეატრი;

დ) რომის პანთეონი.

(1) **5. შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში ბრანკუშიმ შექმნა ქანდაკების მთელი სერია, რომელიც წარმოგვიდგენს ფრინველს ფრენისას. როგორ ფიქრობთ, რით იყო შთაგონებული ხელოვანი?**

ა) საკუთარ ადრეულ ნამუშევრებში შემუშავებული იდეებით;

ბ) სხვა მხატვრების მიერ შექმნილი ნამუშევრების შესწავლით;

გ) როგორ აღიქვამს თვალი მფრინავ ობიექტს;

დ) როგორ იცვლება გამოსახულება განათებასთან ერთად.

(1) **6. რომელი ნიდერლანდელი მხატვრის ხელოვნების ნიმუშის თანამედროვე ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი ილუსტრაციაზე?**

ა) იან ვერმეერის;

ბ) რემბრანდტ ვან რეინის;

გ) ვან გოგის;

დ) პიტ მონდრიანის.

(1) **7. რა სცენებია გამოსახული მარინას სტილის კერამიკული ჭურჭლის ზედაპირზე?**

ა) ქალაქის;

ბ) ფაუნის ამსახველი;

გ) ზღვის;

დ) ფლორის ამსახველი.

(1) **8.** ხელოვნების ნიმუშებში ხშირად გაცხადებულია მოცემული მომენტისთვის ცხოვრებისეული მიდრეკილებები თუ წესები. XVI საუკუნის ფლამანდიური საზოგადოების რომელი მახასიათებლის გამომხატველია ქვემოთ წარმოდგენილი მარინუს რეიმერსვალეს სურათი „ფულის გადამცვლელი და მისი მეუღლე“?

ა) გენდერული უთანასწორობის;

ბ) განმანათლებლობის იდეოლოგიური ზემოქმედების;

გ) მერკანტილიზმის აღზევების;

დ) საზოგადოების კლასობრივი დიფერენცირების.

(1) **9. წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომელი განეკუთვნება ყაჯარულ ხელოვნებას?**

ა)

ბ)



გ)

დ)

(1) **10. რომელი ურთიერთმიმართებაა სწორი?**

ა) ექსპრესიონიზმი - ფორმათა უტრირების საშუალებით სამყაროს რეალისტური ასახვა;

ბ) ექსპრესიონიზმი - ფორმათა უტრირების საშუალებით ემოციათა გამძაფრებულად ასახვა;

გ) ექსპრესიონიზმი - სამყაროს არაპირდაპირ, იგავურად ასახვა;

დ) ექსპრესიონიზმი - სამყაროს მისტიკურ პლანში ასახვა.

(1) 11. რა არის მარკ შაგალის თემებისა და გამოსახულებების უმეტესობის საფუძველი როგორც წარმოდგენილ სურათზე, ასევე მთელ მის შემოქმედებაში?

ა) სალვადორ დალისა და სხვა სიურრეალისტების ნამუშევრები;

ბ) მოგონებები, დაკავშირებული იმ ადგილთან, სადაც მან ბავშვობა გაატარა;

გ) ზიგმუნდ ფროიდის ის თეორიები, რომლებითაც მხატვარი იყო გატაცებული;

დ) მხატვრის სიყვარულის ისტორია, რამაც მისი ტრაგიკული ბედი განსაზღვრა.

(1) **12.** კერამიკის წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომელია ძველი ჩინური?

ა)

ბ)



გ)

დ)

(1) **13. რომელი მხატვრული თავისებურება *<u>არ ახასიათებს</u>* ალექსანდ კოლდერის მიერ შექმნილ პორტრეტს?**

ა) მეტყველი გრაფიკული ჩანახატის მსგავსად საკმაოდ გამომსახველია;

ბ) გამოყენებულია მავთული, რათა შეიქმნას გრაფიკული გამოსახულება სივრცეში;

გ) მხატვრული ექსპერიმენტი პორტრეტული დახასიათების ოსტატურ საშუალებად იქცა;

დ) დინამიზმის გასაძლიერებლად მობილური დეტალებია გამოყენებული.

(1) **14. ჩამოთვლილთაგან რომელი თავისებურება ახასიათებს აღორძინებისა და შუა საუკუნეების მხატვრობას?**

ა) ფართოდაა გავრცელებული ქრისტიანული თემები და მხატვრული სახეები;

ბ) კლასიკური თემატიკა რელიგიურ თემებზე მეტად აქტუალურია;

გ) აქტიურად გამოიყენებენ ცოდნას პერსპექტივის შესახებ;

დ) აქტიურად იყენებენ შუქ-ჩრდილით ფორმათა მოდელირებას.

(1) **15. იოზეფ ალბერსის წარმოდგენილი მხატვრული კომპოზიციის მსგავსად, რომელი მხატვრები იყენებენ მეთოდს, სადაც ფერთა ურთიერთმიმართება თუ ურთიერთქმედება მათი მხატვრული თვისებების გაძლიერება/გამოვლენისა და ცხადად შეცნობის შესაძლებლობას განსაზღვრავს?**



ა) ვასილი კანდინსკი და მარკ როტკო;

ბ) მორის ეშერი და ჯექსონ პოლოკი;

გ) პიტ მონდრიანი და ეგონ შილე;

დ) ხუან მირო და მიქელანჯელო.

(1) **16. წარმოდგენილ დებულებათაგან რომელი *<u>არ შეესაბამება</u>* გელათის მთავარი ტაძრის ნართექსის XII საუკუნეში შექმნილი ფრესკების მხატვრულ თავისებურებას, რომლებიც მსოფლიო საეკლესიო კრებებს ასახავენ?**

ა) ფიგურათა გამოსახულებები მონუმენტურია, სახეები მეტყველი;
ბ) ადამიანთა ყოველი ცალკეული ჯგუფი შეკრულია და მკაფიოდაა გამოყოფილი სხვა ჯგუფებისაგან;
გ) ერთგვარი სიახლოვე შეინიშნება ატენის სიონის მოხატულობასთან, თუმცა ხაზი უფრო მოქნილია;
დ) მოხატულობას ისტორიული საფუძველი არ გააჩნია.

(1) **17. წარმოდგენილ კომპოზიციაში ძირითად მხატვრულ ხერხებს შორის რომელია *ეპირატესი*?**

ა) დინამიკა;

ბ) რიტმი;

გ) ასიმეტრიული ბალანსი;

დ) ელემენტების განმეორებადობა.

(1) **18. რას ემსახურება რემბრანდტის ფერწერულ სურათზე - „ღამის გუშაგი“, გამოყენებული მკვეთრი კონტრასტი?**

ა) ფორმათა განმეორებადობის აქცენტირებას რიტმული მონაცვლეობის შესაქმნელად;

ბ) განათების ეფექტის შექმნას ემოციური ჟღერადობის გასაძლიერებლად;

გ) ფერადოვანი გრადაციის შექმნას მოცულობის ილუზიის გასაძლიერებლად;

დ) დიდ ფორმატზე მცირე ელემენტების ორგანიზებას კომპოზიციური წონასწორობისათვის.

(1) **19. რომელი ფორმულირება *<u>არ შეესაბამება</u>* წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობის თავისებურებებს?**



ა) ნაგებობა პოსტკონსტრუქტივისტული სტილის ნიმუშია ბრუტალისტური ელემენტებით;

ბ) ნაგებობის კონსტრუქცია სიმყარის უზრუნველყოფის სრულყოფილ გარანტიას ვერ ქმნის;

გ) ფასადებზე სარკმელთა მინიმალისტური გეომეტრიული ფორმები ნაგებობის დეკორატიული გაფორმების სისტემას ქმნის;

დ) ნაგებობის არქიტექტურული კონსტრუქცია მცირე მიწის მონაკვეთზე დიდი ფართობის მქონე შენობის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

**№ 20-25 დავალება.** ***„ჭეშმარიტია-მცდარია“***

**დავალების ინსტრუქცია** – ყურადღებით გაეცანით მოცემულ დებულებებს. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.

**შენიშვნა:** თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისათვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

**ნიმუში:**



(1) **20.** **გოთიკა შუა საუკუნეების პერიოდს განეკუთვნება.**

(1) **21.** სურათზე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი.



(1) **22.** პანდუსი საფეხურებიან ასასვლელს ეწოდება.

(1) **23.** ამფორა ძველი ბერძნული კერამიკული მხატვრობის გეომეტრიულ სტილს ეწოდება.

(1) **24.** პერსპექტივა ხედვის წერტილი არ არის.

(1) **25.** პაპი ინოკენტი X-ის პორტრეტი კარავაჯომ შექმნა.

(7) **№ 26 დავალება.** ***პრაქტიკული სამუშაო***

**ინსტრუქცია:**

ფოტოებზე წარმოდგენილი საგნებით - ქაღალდის პაკეტისა და მსხლების გამოსახულებით, შექმენით ერთი ნატურმორტი. გამოსახულება კომპოზიციური განაწილების პრინციპის გათვალისწინებით განათავსეთ სასურათე სიბრტყეზე. დაიცავით საგნების შესაბამისი პროპორციები, მიანიჭეთ მათ ფაქტურა და მოცულობა; დაცემული ჩრდილების გამოსახვისას განსაზღვრეთ განათების მიმართულება. დავალება შეასრულეთ პრაქტიკული სამუშაოსათვის განკუთვნილ ფურცელზე.

(1) **№ 27-29 დავალება.** ***ქრონოლოგიის განსაზღვრა***

**დავალების ინსტრუქცია** – დაალაგეთ (უძველესიდან უახლესისკენ) მხატვრული მიმდინარეობები, მხატვართა სახელები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში იწერება მხოლოდ შერჩეული ერთეულის შესაბამისი ციფრი.

| (1) **27.** დაალაგეთ ადამისა და ევას თემაზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. | | | |
|---|---|---|---|
| 1. | 2. | 3. | 4. |
| |  |  | |

(1) **28.** დაალაგეთ ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით.

| 1. | 2. | 3. | 4. |
|---|---|---|---|
|  | | |  |

| (1) **29.** დაალაგეთ ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. | | | |
|---|---|---|---|
| 1. | 2. | 3. | 4. |
| |  | | |

(3) **№ 30 დავალება.** ***შესაბამისობის დადგენა*** - შეუსაბამეთ B ველში მოცემული ხელოვნების ნიმუშები A ველში ჩამოთვლილ ქვეყნებს. გაითვალისწინეთ, ერთ ქვეყანას მხოლოდ ერთი ნიმუში შეესაბამება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **A** | 1. ეგვიპტე | | 2. საბერძნეთი (კიკლადები) | | 3. მესოპოტამია |
| **B** | ა. | ბ. | გ. | დ.  | ე. |

(3) **№ 31 დავალება.** ***შესაბამისობის დადგენა.*** შეუსაბამეთ **B** ველში წარმოდგენილი არქიტექტურული ელემენტები **A** ველში მოცემულ მათ დასახელებებს. გაითვალისწინეთ, ერთ დასახელებას მხოლოდ ერთი ილუსტრაცია შეესაბამება.

| | | |
|---|---|---|
| **A.** 1. კამარა | 2. პილასტრი | 3. არქიტრავი |
| **B**. ა. | გ. | დ. |
| ბ.  | | ე. |

# წერითი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
ორივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.
ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.
გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.
პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

(4) № 32 დავალება. წარმოდგენილი გრაფიკული სურათები ლადო გუდიაშვილის ალეგორიული ხასიათის ნამუშევრებია სერიიდან „სატირული გრაფიკა“ (1940-იანი წლები), რომელშიც ცხადად არის გამოვლენილი მხატვრის დამოკიდებულება არსებული რეალობის მიმართ. შეარჩიეთ ოთხი ნამუშევრიდან ერთი, გააანალიზეთ და დაადგინეთ:

1.

2.



**3.**

**4.**



ა. ეპოქის თუ ზოგადად კაცობრიობის რომელი მანკიერი მოვლენის ან თვისების ალეგორია შექმნა მხატვარმა? იმსჯელეთ ნაწარმოების შინაარსობრივ და ვიზუალურ შესაბამისობაზე;
ბ. დაახასიათეთ ნაწარმოების მხატვრული ენა და განმარტეთ, ეხმარება თუ არა ის მხატვრული სახის ხასიათის გადმოცემას.

(15) **№ 33 დავალება. ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი**

გაიაზრეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ ქვემოთ მოცემული ხელოვნების ნიმუში.



**შეასრულეთ დავალება მითითებების მიხედვით:**

(3) **33.1** აღწერეთ და დაახასიათეთ კომპოზიცია; რომელ ჟანრს განეკუთვნება მოცემული კომპოზიცია? მასალისა და ტექნიკის საფუძველზე ამოიცანით სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი;

(3) **33.2** გააანალიზეთ და მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს ავტორი მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად სურათზე;



(3) **33.3** მხატვრულ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრეთ მიმდინარეობა, დაადგინეთ, რომელი ქვეყნისა და ეპოქის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, დაასახელეთ ავტორი;

(3) **33.4** შეაფასეთ ნამუშევარი – გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;

(3) **33.5** იმსჯელეთ გავლენებზე, განიხილეთ ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ და ა. შ. კონტექსტში.